სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

70495129281425

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N250583534

რეგისტრაციის თარიღი

16.05.2025 წ

ნოტარიუსი: ეკატერინე მარშანია
მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 47
ტელეფონი: 5(74) 44 45 49; ელ.ფოსტა: emarshania@notary.ge

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

ორიათას ოცდახუთი წლის თექვსმეტ მაისს მე, ნოტარიუს ეკატერინე მარშანიას ქ.თბილისში, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისიმართზე: ქ.თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. №47, მომმართა **შპს კაპიტალი-ს (ს/ნ 405341321)** დირექტორმა **ირაკლი კორძახიამ**, თანახმად ამონაწერისა საჯარო რეესტრიდან, განცხადების რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: **B24066969, 28/05/2024 12:07:20.** მან განაცხადა, რომ სურს ოთარი ანთაძის (დაბ.17.05.2000წ. თბილისში, პ/ნ 01005039034) მიმართ უფლებამოსილების მინიჭება, შესაბამისი მინდობილობის შედგენა და მინდობილობის სანოტარო წესით დადასტურება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად **ირაკლი კორძახიამ** (დაბადებული 12.08.1982წ. სოხუმში, პ/ნ 62001015447) მომმართა. მე დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა, შევამოწმე მისი უფლებამოსილება, ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე შევადგინე მინდობილობა, წავუკითხე, განვუმარტე მას მისი შინაარსი და მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები. მან წაიკითხა და განაცხადა, რომ ტექსტი ზუსტად გამოხატავს მის ნებას, რის შემდეგაც ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე მინდობილობას.

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისთვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის დადგენილება № 507-ისა (29.11.2012 წ.) და ამ დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს მთავრობის 2022 წლის 30 მაისის დადგენილება № 272-ის 31-ე მუხლის საფუძველზე - 30 (ოცდაათი) ლარი, 39-ე მუხლის საფუძველზე - 5 (ხუთი) ლარი და საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლის საფუძველზე დ.ღ.გ. –5.40 (ხუთი ლარი და ორმოცი თეთრი) ლარი, ჯამში: 40.40 ლარი.

მინდობილობა

შპს კაპიტალი-ს (ს/ნ 405341321) დირექტორმა ირაკლი კორძახიამ შემდგომში „მიმნდობი", წინამდებარე მინდობილობით ოთარი ანთაძეს „მინდობილი პირი" მივანიჭე შემდეგი უფლებამოსილება:

1. მინდობილი პირი უფლებამოსილია იყოს **შპს კაპიტალი-ს (ს/ნ 405341321)** წარმომადგენელი და წარმოადგინოს „მიმნდობის" ინტერესები ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში; მერიის საქალაქო სამსახურებში; მათ შორის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში **შპს კაპიტალი-ს (ს/ნ 405341321)** სახელზე არსებულ ნებისმიერ უძრავ ქონებასთან დაკავშირებით. წარმოადგინოს საზოგადოება საქართველოს ნებისმიერ ორგანიზაციასა და დაწესებულებაში, ადმინისტრაციულ და თვითმმართველობის ორგანოებში, გამგეობაში, მერიაში და მისდამი დაქვემდებარებულ სამსახურებში, მერიის არქიტექტურის სამსახურში, მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურში, მერიის მუნიციპალურ ინსპექციაში (ზედამხედველობის სამსახურში), საკრებულოში, საკუთრების აღიარების კომისიაში, ქონების მართვის სააგენტოში და სხვა. იგი უფლებამოსილია აწარმოოს გარე ფასადის ცვლილების, სარეკლამო აბრების, ლაითბოქსის, მოცულობითი ასოების/წარწერის, კიბის უჯრედის, ვიტრაჟების, ტენტების/გადახურვის, ნებისმიერი ცვლილება/მოშენება/დაშენება/გადახურვის ნებართვების მიღებასთან დაკავშირებული საქმიანობა. იგი უფლებამოსილია შეიტანოს განცხადებები, წარადგინოს, გამოითხოვოს და მიიღოს ნებისმიერი ცნობა, დოკუმენტი, ინფორმაცია, მიიღოს ნებართვები, გააკეთოს აზომვითი ნახაზები, ფოტო ვერსია, ელ. ვერსია ატვირთოს სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის საიტზე. ხელი მოაწეროს ჩემს ნაცვლად განცხადებებს, თანხმობებს, ყველა საჭირო დოკუმენტს, საჭიროების შემთხვევაში გამოასწოროს ხარვეზი, გადაიხადოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადები და შეასრულოს ყველა ის მოქმედება რაც დაკავშირებულია ზემოთ აღნიშნული დავალების შესრულებასთან.

2. მინდობილობა გაცემულია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად ქართულ ენაზე, რომელთაგან ორი გადაეცა მიმნდობ პირს, ხოლო ერთი ინახება სანოტარო ბიუროში, რომელსაც თან ერთვის დოკუმენტი: ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან **შპს კაპიტალი-ს (ს/ნ 405341321)** შესახებ.

3. „მიმნდობი პირი" უფლებამოსილია ნებისმიერ დროს შეწყვიტოს ეს მინდობილობა, რისთვისაც საჭიროა გარიგების სანოტარო წესით გაუქმება. გაუქმების შესახებ შეტყობინების მიღებისთანავე „მინდობილი პირი" ვალდებულია დაუყონებლივ შეწყვიტოს მინდობილობასთან დაკავშირებული ნებისმიერი მოქმედების შესრულება და ამ მინდობილობის მის ხელთარსებული ყველა ეგზემპლარი დაუბრუნოს „მიმნდობი პირს".

4. მინდობილობა გაცემულია განუსაზღვრელი ვადით გადანდობის უფლების გარეშე .

ირაკლი კორძახია

ნოტარიუსი ეკატერინე მარშანია